CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს სამედიცინო კოლეგიები

Caritas
Czech Republic

პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში (ფაზა II)

ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში თანამშრომლობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების მიმართულებით, რაც მოიცავს:

ა
პირველად ჯანდაცვაში ხარისხის მართვის ინსტრუმენტების დანერგვას

ბ
ქვეყნის მასშტაბით ყოვლისმომცველი საინფორმაციო ტექნოლოგიური (IT) გადაწყვეტილებების შექმნას პირველადი ჯანდაცვისთვის

გ
კვალიფიკაციის სტანდარტების და მოთხოვნების განახლებას და უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემის ჩამოყალიბებას პირველადი ჯანდაცვის პერსონალისთვის.

პროექტის შედეგებით ისარგებლებს მთლიანად ქვეყანა, ვინაიდან თითოეული შედეგი, საბოლოო ჯამში, გადაეცემა ჯანდაცვის სამინისტროს. საწყის ეტაპზე პროექტის პილოტირება დაგეგმილია მცხეთა-მთიანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების შერჩეულ მუნიციპალიტეტებში. ამასთანავე, პროექტი აგრძელებს პირველადი სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესების სისტემის სრულყოფას თბილისის 5 საპილოტე სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მიმდინარეობდა პროექტის პირველი ფაზა. მთლიანობაში, 46 სამედიცინო დაწესებულება ჩაერთვება პროექტში, მათ შორის, 142 სოფლად დასაქმებული სამედიცინო პერსონალი დუშეთის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებიდან.

პროექტის შედეგად:

შეიქმნება ახალი სტანდარტიზებული მართვის ელექტრონული საინფორმაციო სისტემა, მათ შორის, ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების ადგილობრივი სისტემა, საწყობის მართვა, ფინანსური მოდული და სხვ.

შეიქმნება რიგების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, ტელემედიცინის და რეფერალის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემები.

შეიქმნება საყოველთაო სამედიცინო ელექტრონული ჩანაწერების საწყობი პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებისათვის.

გაფართოვდება მონაცემთა შეგროვების/სინქრონიზაციის და ანალიტიკური მოდულები პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლებისთვის.

ჩატარდება ტრენინგები მართვის ელექტრონული საინფორმაციო სისტემის და პროექტის ფარგლებში შექმნილი სხვა საინფორმაციო სისტემების გამოყენებაში სოფლად დასაქმებული პირველადი ჯანდაცვის ცენტრების პერსონალისთვის შერჩეულ რეგიონებში.

განახლდება პირველად ჯანდაცვაში გავრცელებული მდგომარეობების მართვის 10 კლინიკური პროტოკოლი და ჩატარდება სამედიცინო პერსონალის ტრენინგი ამ ინსტრუმენტების გამოყენებაში სამიზნე რეგიონებში.

დაინერგება სამედიცინო დაწესებულების შიდა საქმიანობის შესრულების მართვის სისტემა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

შეიქმნება პირველადი ჯანდაცვის რგოლში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის სტანდარტები და მოთხოვნები.

შემუშავდება პირველად ჯანდაცვაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლების 8 ელექტრონული მოდული და ჩაუტარდება დისტანციური სწავლება მოდულების მიხედვით 100 ოჯახის ექიმს.

COVID-19 პანდემიის საპასუხოდ:

საქართველოს 10 რეგიონის სოფლის ექიმს (80% მოცვა) ჩაუტარდა ტრენინგები COVID-19-ის საექვო შემთხვევების მართვის და პოსტკოვიდ მდგომარეობის მართვის შესახებ პირველად ჯანდაცვაში.

საქართველოს 10 რეგიონის სოფლის ექიმს (90% მოცვა) ჩაუტარდა ტრენინგები COVID-19-ის ვაქცინაციის გვერდითი მოვლენების მართვის შესახებ.

შეიქმნა COVID-19 ლაბორატორიული საინფორმაციო სისტემა COVID-19-ის ეფექტური მეთვალყურეობისთვის.

COVID-19-ის ლაბორატორიული საინფორმაციო სისტემის გამოყენების სწავლების გზით, გაძლიერდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ლაბორატორიების პერსონალის, ინფექციურ დაავადებათა სპეციალისტების (ჯამში 500-მდე ადამიანი) გადაუდებელი რეაგირების უნარი.

პროექტის ხანგრძლივობა:
2020 წლის მაისი – 2023 წლის ივნისი

პროექტის ბიუჯეტი: 1 266 257 €

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში

თბილისი 0177, საბურთალოს რაიონი,
ვივი კარტოზიას ქ. N8, კორპუსი N4, ბინა N24
(+995) 032 222 02 14

ccrg@caritas.cz
georgia.charita.cz
www.facebook.com/CCRGeorgia2015